სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის დავით აკობიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **დავით აკობიძის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - დავით აკობიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი დავით აკობიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით დავით აკობიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, კერძოდ კი - კანდიდატის შესახებ სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ შემდეგი სახის ინფორმაციას: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. დავით აკობიძის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებულ იქნა შევსებული

სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ დავით აკობიძის შეფასებისას გათვალისწინებულია მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი თვისებები.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, თავმდაბლობას, გულწრფელობას, პროფესიულ სინდისს და სხვა დადებით თვისებებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

დავით აკობიძეს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები (სულ 2 ჯარიმა) მას გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, სამართლიან და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, გამოირჩევა პიროვნული სიმტკიცით და შეუვალობით.

რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ დავით აკობიძე არ იყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დავით აკობიძე გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2024 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით დავით აკობიძე ცნობილია დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების სამიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს, რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის - დავით აკობიძის შესახებ ინფორმაცია იძებნება ინტერნეტში მისი მედიაციასთან დაკავშირებული საქმიანობის თაობაზე. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა

ითქვას, რომ დავით აკობიძე აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კანდიდატი, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას, შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ის **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი დავით აკობიძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით. კერძოდ,

კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე დავით აკობიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი: სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, აგრეთვე - საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> მახასიათებლის მიხედვით შეფასებისას გავითვალისწინე შემდეგი ინფორმაცია: დავით აკობიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი (რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 8. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 82/18). იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „დავით აკობიძემ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა; სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 89 ქულა...

<u>სამოქალაქო სამართალი</u> - დავით აკობიძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.

<u>ადმინისტრაციული</u> სამართალი - დავით აკობიძე არის ძალიან გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი, არის გულწრფელი, მიზანდასახული, საქმისადმი ერთგული და აქვს პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება. არის კორექტული, ახალ ინფორმაციას და

მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც კომუნიკაბელურმა ადამიანმა. გამოირჩეოდა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. დაკისრებულ მოვალეობას ეკიდება მაქსიმალური პასუხისმგებლობით.

<u>სისხლის სამართალი</u> – დავით აკობიძეს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული, გააჩნია თავისი აზრის ნათლად, ლაკონიურად და დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი. დაკისრებულ მოვალეობას მაქსიმალური პასუხისმგებლობით ეკიდება. შეუძლია გადაწყვეტილებების დასაბუთება, მისი გადაწყვეტილებები ადვილად და გასაგებად იკითხება. მსმენელი არის კომუნიკაბელური, გაწონასწორებული და მშვიდი. გააჩნია საქმისადმი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის პუნქტუალური ასევე პროდუქტიული და ოპერატიული.

დავით აკობაძეს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ შესრულებული სამუშაოები თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იზრუნოს სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 2 დეკემბერს, დავით აკობიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ დავით აკობიძე კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. მანვე წარმატებით გაართვა თავი საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

ამდენად, მიმაჩნია, რომ დავით აკობიძე კარგად იცნობს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული, ვრცელი და დასაბუთებული.

<u>**კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან**</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დავით აკობიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება, წლების განმავლობაში ის მუშაობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ამასთან, არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „დავით აკობიძეს შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება, წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, დავით აკობიძეს სწრაფად შეუძლია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა, გააჩნია ახალი მასალის საფუძვლიანად, სწრაფად გააზრების და გამოყენების უნარი, დაკისრებულ მოვალეობებს შესანიშნავად ასრულებს, სწრაფად და დამაჯერებლად ასაბუთებს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო კვალიფიციური და დამაჯერებელია.

<u>**წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან**</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის მიხედვით „დავით აკობიძეს შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება, შეუძლია გრამატიკულად და სტილისტურად გამართულ ენაზე ნათლად და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი. საპროცესო დოკუმენტები არ იყო გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობებით. დავით აკობიძის მიერ შედგენილი გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა. სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას შესწევს უნარი, საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები ზეპირად სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს. მეტყველების დროს აზრს ნათლად და გარკვევით გადმოსცემს. დავით აკობიძე აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი და ეთიკური".

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ დავით აკობიძეს შეუძლია საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს, გამოყოს მნიშვნელოვანი საკითხები, აქვს ლოგიკური მსჯელობის და ანალიზის უნარი. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>**პროფესიული თვისებებთან**</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დავით აკობიძე გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე. ის ასევე ხასიათდება როგორც შრომისმოყვარე და ორგანიზებული პიროვნება, რომელიც გააჩნია სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი.

<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი დავით აკობიძე მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

დავით აკობიძეს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, ასევე გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა. იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ დავით აკობიძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის, - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების თაობაზე - USAID PROloG; National competition in international humanitarian law; ფულადი ვალდებულებების შესრულების პრობლემურ საკითხებში - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი; ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისთვის პროფესიული განვითარების კურსი - „აქტიური მოსმენის უნარები მედიაციაში", გერმანელი ექსპერტი გრეგ ბონდი - სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია და სხვა. აქვე აღვნიშნავ, რომ კანდიდატი 2013-2014 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 2014 წელს სამსახურებრივ მოცალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოეცხადა მადლობა, ამასთან, 2021 წელს სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ გადასცა საპატიო სიგელი, პანდემიის პერიოდში მედიაციის სფეროში შეტანილი წვლილისათვის და პროფესიის ერთგულებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნილიდან გამომდინარე, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ დავით აკობიძის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 89 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**
თარიღი: 09.12.2024